



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №2

25/08/2022 წელი

ქ. ბათუმი
17:00 საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარმენ ჯალაღონია.

სხდომას ესწრებოდნენ: ნოდარ მელაძე, ტარიელ გოგიტიძე, ირაკლი გვარჯალაძე და მარიამ გუგუნავა.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2022 წლის 08 ივნისის №1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

2. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2022 წლის 08 ივნისის №1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

2. სხვადასხვა.

1. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2022 წლის 08 ივნისის №1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კომისიის წევრებს წარუდგინა, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2022 წლის 08 ივნისის №1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტი, პარმენ ჯალაღონიას განმარტებით, უსკოს 2023 წლის საბიუჯეტო განაცხადში ცვლილება გამოიწვია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონში განხორციელებულმა ცვლილებამ, რომლის თანახმად, კომისიას დაემატა 2 კომისიის წევრის პოზიცია, რომლებსაც უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე უნდა მიეცეთ შრომის ანაზრაურება და სწორედ ამ პოზიციებისათვის განკუთვნილი თანხა ემატება საბიუჯეტო განაცხადს.

აზრი გამოთქვას:

კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2022 წლის 08 ივნისის №1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 5;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2023 წლის საბიუჯეტო განაცხადის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2022 წლის 08 ივნისის №1 განკარგულებით დამტკიცებულ დანართში შეტანილი იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს, თანდართული დანართის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

(თან ერთვის)

2. სხვადასხვა.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალალონიამ, სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე

პარმენ ჯალალონია

კომისიის მდივანი

ტარიელ გოგიტიძე